



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N17

ქ. მარნეული

03.10.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, გივი ქველაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის 28 სექტემბრის N42 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თის ანგარიშის მოსმენის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბაღის საჯარო სკოლის პედაგოგის დონარა ნარიმანიძის განცხადების განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N3946-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში შესატანი ცვლილებები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის 28 სექტემბრის N42 წერილის, რომლის მიხედვით ა.ა.ი.პ. სპორტული სკოლა ითხოვს ხარჯთაღრიცხვის კორექტირებას, ვინაიდან საწვავისთვის გამოყოფილი 3000 ლარი საკმარისი არაა მე-4 კვარტლისათვის, რის გამოც თანამდებობრივი სარგოების მუხლიდან 1000 ლარი გადატანილი უნდა იქნეს საწვავის მუხლში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 11 აგვისტოს N03/9762 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია 2017 წლის 6 თვის შედეგები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბალის საჯარო სკოლის პედაგოგის დონარა ნარიმანიძის განცხადება, რომელიც არის ქართული ენის პედაგოგი და ყოველდღიურად უწევს მგზავრობა სოფელ წერეთლიდან, რისთვისაც ითხოვს მგზავრობის ღირებულების დაფინანსებას ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N3946-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები დ. ბერდელიძე, დ. აბრამიშვილი, კ. თურმანიძე და ბ. გუჯეჯიანი ითხოვენ მათ მიერ იჯარით აღებული 40 კვ.მ. არასასოფლო – სამეურნეო მიწის ნაკვეთის მონაცვლეობას აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეჩვიდმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევია